

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური ანგარიშგება

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება	1
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება	4

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

1. კორპორატიული ინფორმაცია	5
2. მომზადების საფუძველი	6
3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები	10
5. შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან	12
6. ტელე გადაცემებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი	13
7. ჩვენებისა და ინფრასტრუქტურის ხარჯი	13
8. სხვა საოპერაციო შემოსავალი	13
9. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	14
10. ძირითადი საშუალებები	14
11. არამატერიალური აქტივები	15
12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	15
13. ფული და ფულის ექვივალენტები	15
14. კაპიტალი	16
15. მოკლევადიანი სესხები	16
16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	17
17. საგადასახადო ვალდებულება	17
18. პირობითი ვალდებულებები	17
19. არაფულადი ოპერაციები	18
20. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან	19
21. ბალანსის შემდგომი მოვლენები	19

შპს „მთავარი არხი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან	5	10,167	11,915
ტელე გადაცემებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი	6	(12,644)	(17,880)
ჩვენებისა და ინფრასტრუქტურის ხარჯი	7	(2,168)	(5,151)
საერთო ზარალი		(4,645)	(11,116)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	8	642	83
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	9	(6,117)	(7,394)
საოპერაციო ზარალი		(10,120)	(18,427)
ფინანსური ხარჯი	15	(155)	(49)
საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება		46	2
ზარალი დაბეგვრამდე		(10,229)	(18,474)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(10,229)	(18,474)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 20 ივლისს:

დიმიტრი სამაგლიშვილი
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

შპს „მთავარი არხი“

მოგება/ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	2022	2021
შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან	5	10,167	11,915
ტელე გადაცემებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი	6	(12,644)	(17,880)
ჩვენებისა და ინფრასტრუქტურის ხარჯი	7	(2,168)	(5,151)
საერთო ზარალი		(4,645)	(11,116)
სხვა საოპერაციო შემოსავალი	8	642	83
ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი	9	(6,117)	(7,394)
საოპერაციო ზარალი		(10,120)	(18,427)
ფინანსური ხარჯი	15	(155)	(49)
საკუთხო სხვაობიდან მიღებული მოგება		46	2
ზარალი დაბეგვრამდე		(10,229)	(18,474)
მოგების გადასახადი		-	-
წლის სრული ზარალი		(10,229)	(18,474)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია მენეჯმენტის სახელით 2023 წლის 20 ივლისს:


დიმიტრი სამაგლიშვილი
დირექტორის მოვალეობის
შემსრულებელი

5-19 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	შენიშვნა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	10	1,003	1,266
არამატერიალური აქტივები	11	726	710
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,729	1,976
მიმდინარე აქტივები			
მარაგები		2	18
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	12	1,677	756
ფული და ფულის ექვივალენტები	13	-	-
სულ მიმდინარე აქტივები		1,679	774
სულ აქტივები		3,408	2,750
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		34,293	30,681
დაგროვილი ზარალი		(52,230)	(42,001)
სულ კაპიტალი	14	(17,937)	(11,320)
მიმდინარე ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	15	1,644	634
საგადასახადო ვალდებულება	17	4,924	1,218
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	16	14,777	12,218
სულ მიმდინარე ვალდებულებები		21,345	14,070
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,408	2,750

შპს „მთავარი არხი“

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	საწესდებო კაპიტალი	დაგროვილი ზარალი	სულ კაპიტალი
31 დეკემბერი 2020	19,513	(23,527)	(4,014)
საწესდებო კაპიტალის ზრდა	11,168	-	11,168
საანგარიშგებო წლის სრული ზარალი	-	(18,474)	(18,474)
31 დეკემბერი 2021	30,681	(42,001)	(11,320)
საწესდებო კაპიტალის ზრდა (შენიშვნა 14)	3,612	-	3,612
საანგარიშგებო წლის სრული ზარალი	-	(10,229)	(10,229)
31 დეკემბერი 2022	34,293	(52,230)	(17,937)

5-19 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

შპს „მთავარი არხი“

ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგება

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

	2022	2021 (გადაანგარიშებული)
საოპერაციო საქმიანობა		
წლის ზარალი	(10,229)	(18,474)
არაფულადი კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	1,628	1,423
ფინანსური ხარჯი	155	49
საურავის და ჯარიმის ხარჯი	146	255
უიმედო და საეჭვო ვალების ხარჯი	176	82
საკუროსო (მოგება)/ზარალი	(46)	(2)
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან სამუშაო კაპიტალის ცვლილებებამდე	(8,170)	(16,667)
შემცირება/(ზრდა) საოპერაციო აქტივებში:		
ცვლილებები საქონელში	16	(10)
ცვლილებები დებიტორულ დავალიანებებში	(1,097)	344
(შემცირება)/ზრდა საოპერაციო ვალდებულებებში:		
ცვლილებები საგადასახადო ვალდებულებებში	3,659	902
ცვლილებები კრედიტორულ დავალიანებებში	3,706	9,308
საოპერაციო საქმიანობაზე გასული ფულადი სახსრები დაბეგვრამდე და პროცენტებამდე	(1,886)	(6,123)
გადახდილი პროცენტი	-	-
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობაზე	(1,886)	(6,123)
საინვესტიციო აქტივობები		
ძირითადი საშუალების შესყიდვა	(113)	(251)
არამატერიალური აქტივის შესყიდვა	(1,268)	(1,291)
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(1,381)	(1,542)
ფინანსური აქტივობები		
აღებული/(დაფარული) სესხი	866	223
საწესდებო კაპიტალის შევსება*	2,401	7,440
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივობებიდან	3,267	7,663
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	-	(2)
ფული და ფულადი ნაკადები პერიოდის დასაწყისში	-	17
კურსთა შორის სხვაობის ეფექტი ფულად სახსრებზე	-	(15)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	-	-

*არაფულადი ოპერაციების შესახებ ინფორმაცია მოცემულია 19-ე შენიშვნაში

5-19 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს

1. კორპორატიული ინფორმაცია

შპს „მთავარი არხი“ (შემდგომში „კომპანია“) საიდენტიფიკაციო კოდით, 404574518, დაფუძნდა 2019 წლის 1 მარტს.

კომპანიას და არხს საქმიანობის დაწყებისას ჰქონდა განსხვავებული ფორმატი და ბრენდული სახელი. 2019 წლის 5 სექტემბერს კომპანიამ საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიაში მოახდინა ავტორიზაციის მოდიფიცირება და სპეციალიზირებული (გასართობი) მაუწყებლობის ავტორიზაცია შეიცვალა საერთო მაუწყებლობის ავტორიზაციით (ე.ი მიიღო საინფორმაციო გადაცემების, საზოგადოებრივი, პოლიტიკური გადაცემების განთავსების უფლება) და მიიღო უფრო მრავალფეროვანი კონტენტით მაუწყებლობის უფლება. კომპანიის განახლებული სახით მაუწყებლობა აღდგა/დაიწყო 2019 წლის 9 სექტემბერს.

2019 წლის 9 სექტემბრიდან 2022 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით და დღემდე, კომპანია ფუნქციონირებს არსებული სახით.

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ტელემაუწყებლობა. „მთავარი არხი“ მაუწყებლობს მთელი საქართველოს მასშტაბით, როგორც ღია ეთერით, ისე სატელეიტით, საკაბელო ოპერატორებისა და IP ტელევიზიების საშუალებით.

კომპანია შემოსავალს აგენერირებს სარეკლამო დროის რეალიზებით.

ინდუსტრიაში მარეგულირებელ ორგანოს წარმოადგენს სსიპ „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია“, სექტორის რეგულირება ხდება „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

აღნიშნული კანონი კომპანიას უწესებს გარკვეულ ვალდებულებებს, როგორცაა პროგრამული და ასაკობრივი შეზღუდვები, რეკლამის და პროგრამაში პროდუქტის განთავსების წესები და მასთან დაკავშირებული შეზღუდვები. ამ ვალდებულებების შეუსრულებლობა იწვევს ამავე კანონით გათვალისწინებულ სანქციებს. სანქციის მაქსიმალურ ზომას წარმოადგენს ავტორიზაციის შეჩერება. უკიდურესი ზომის გამოყენება კანონის თანახმად შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ რაც დარღვევისათვის სანქციის სახით უკვე გამოყენებულია წერილობითი გაფრთხილება და ჯარიმა.

ანგარიშგების წარდგენის თარიღისათვის, კომპანიას ჰქონდა მიმდინარე დავა კომუნიკაციების კომისიასთან, რომლის დეტალებიც შეგიძლიათ იხილოთ მე-18 შენიშვნაში. ინფორმაცია სანქციების შესახებ არის საჯარო და ხელმისაწვდომია კომუნიკაციების კომისიის საიტზე (<https://comcom.ge/>).

ანგარიშგების გამოცემის თარიღამდე კომისიას კომპანიასთან ავტორიზაციის შეჩერებასთან დაკავშირებული განხილვა არ ჰქონია.

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი. საქართველო, თბილისი, გიორგი ჩუბინაშვილის ქ. N 41.

კომპანიის მეწილეები: დეტალური ინფორმაცია კომპანიის მეწილეების შესახებ მოცემულია მე-14 შენიშვნაში. შპს „მთავარი არხი“ არ ფლობს ინვესტიციებს სხვა საწარმოებში.

საქართველოს ბიზნეს გარემო

კომპანია საქმიანობას საქართველოში ახორციელებს. საქართველოს განვითარებადი ეკონომიკის გარკვეული მახასიათებლები აქვს, მათ შორის შედარებით მაღალი ინფლაციის დონე და მაღალი საპროცენტო განაკვეთები. ქართული საგადასახადო კანონმდებლობა სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას ექვემდებარება და ხშირ ცვლილებებს განიცდის.

საქართველოს მომავალი ეკონომიკური განვითარება მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული მთავრობის მიერ მიღებულ ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული გადაწყვეტილებების ეფექტურობაზე, ისევე როგორც საგადასახადო, საკანონმდებლო, მარეგულირებელ და პოლიტიკურ განვითარებაზე.

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

2. მომზადების საფუძველი

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური უწყისები წარმოდგენილია ათას ლარში თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე 12 თვიან პერიოდს.

შესაბამისობის განცხადება. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება შესაბამისობაშია მცირე და საშუალო ზომის კომპანიებისთვის განსაზღვრული ფინანსური ანგარიშგების შედგენის საერთაშორისო სტანდარტთან (შემდგომში მსს ფასს) და საქართველოს კანონთან „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“.

ფინანსური ანგარიშგების მომზადება მსს ფასს-ის შესაბამისად მოითხოვს მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების გამოყენებას. ასევე, მოითხოვს ხელმძღვანელობამ გამოიყენოს მისი შეფასებები სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც გამოირჩევა უფრო მაღალი ხარისხის მსჯელობებით ან სირთულით, ან სფეროები, სადაც შეფასებები და დაშვებები მნიშვნელოვანია ფინანსური ანგარიშგებისთვის, წარმოდგენილია მე-4 შენიშვნაში.

ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადი საწარმოს საფუძველზე, იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მენეჯმენტის პოზიცია ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გამოყენების მართებულობასთან დაკავშირებით მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4 შენიშვნაში.

წინა პერიოდის რეკლასიფიკაცია. 2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 2021 წლის ფულადი ნაკადებს მოძრაობის ანგარიშგებაში წარდგენილი თანხები პრეზენტაციის მიზნებისთვის რეკლასიფიცირებულია ამავე პერიოდის შესადარის მუხლებში. მენეჯმენტი თვლის რომ ამგვარად წარმოდგენილი ინფორმაცია კომპანიის საქმიანობის სფეროს გათვალისწინებით, უკეთ ასახავს პერიოდის განმავლობაში საწესდებო კაპიტალის ცვლილებებს. ამ რეკლასიფიკაციებს გავლენა არ მოუხდენია 2021 წლის წმინდა ფულად ნაკადებზე. საწესდებო კაპიტალში განხორციელებული არაფულადი ოპერაციები, 3,646 ლარის ოდენობით, საფინანსო საქმიანობიდან რეკლასიფიცირებულია საოპერაციო საქმიანობაში.

2021 წლის 31 დეკემბრის ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებაზე რეკლასიფიკაციების შედეგი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგი სახით:

	2021	რეკლა- სიფიკაცია	2021 (გადაანგარიშებული)
წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობაზე	(9,769)	3,646	(6,123)
საინვესტიციო აქტივობებში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები	(1,542)		(1,542)
წმინდა ფულადი ნაკადები ფინანსური აქტივობებიდან	11,309	(3,646)	7,663
ფული და ფულის ეკვივალენტების წმინდა ზრდა/(შემცირება)	(2)	-	(2)

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

უცხოური ვალუტა. ლარი არის კომპანიის მთავარი საოპერაციო ვალუტა, ვინაიდან ლარი არის იმ ქვეყნის მთავარი საოპერაციო ვალუტა, რომელშიც ფუნქციონირებს. უცხოურ ვალუტაში ასახული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება მოგებისა და ზარალის ანგარიშებზე. უცხოურ ვალუტაში გამოხატული შედეგები აღირიცხება ოპერაციის განხორციელების დღეს არსებული გაცვლის კურსის შესაბამისად. უცხოური ვალუტით მიღებული არამონეტარული მუხლები შეფასებულია ოპერაციის დღის კურსით.

2022 და 2021 წლების 31 დეკემბერს ვალუტაში არსებული ნაშთების კონვერტაციისთვის გამოყენებული ბოლო გაცვლითი კურსი იყო შემდეგი:

	საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი	
	აშშ დოლარი	ევრო
31 დეკემბერი 2022	2.7020	2.8844
31 დეკემბერი 2021	3.0976	3.5040

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს, ბანკებში არსებულ მიმდინარე ანგარიშებს და დეპოზიტებს. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

ძირითადი საშუალებები.

- **აღიარება და შეფასება.** ძირითადი საშუალების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ აღირიცხება ისტორიული ღირებულებით, ცვეთის და გაუფასურების ზარალის გათვალისწინებით. მოგება ან ზარალი რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ან მისი ერთეულის აღიარების შეწყვეტიდან (გაყიდვის ღირებულებას გამოკლებული საბალანსო ღირებულება) აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.
- **შემდგომი დანახარჯები.** შემდგომი დანახარჯები შედის აქტივის მიმდინარე ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივად, საჭიროებისამებრ, მხოლოდ მაშინ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და აქტივის ღირებულების განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ. ჩანაცვლებული აქტივის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. შეკეთების და რემონტის ყველა სხვა ხარჯი აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში იმ ფინანსურ პერიოდში, როცა ეს ხარჯები გაიწია.

ცვეთა. აქტივის ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები საჭიროების შემთხვევაში გადაიხედება და რეგულირდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ძირითადი საშუალებაზე ან მის ცალკეულ ერთეულზე ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მის გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება ერთხელ შევიდა ექსპლუატაციაში მას ცვეთა ერიცხება ბოლომდე, თუ არ ამოხდა მისი გადატანა გასაყიდად გამიზნულად ან ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტისას.

ჯგუფი	მომსახურების ვადა (წელი)
სამაუწყებლო აღჭურვილობა	3-5
ოფისის აღჭურვილობა	1-5
სხვა ძირითადი საშუალებები	5

არამატერიალური აქტივები.

აღიარება და შეფასება. არამატერიალური აქტივები მოიცავს განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს და ლიცენზიებს, ასევე ჩვენების უფლებას განსაზღვრული სერიების ოდენობით და საკუთარი დანახარჯებით შექმნილი სერიალს. არამატერიალური აქტივის აღიარება ხდება მაშინ, როდესაც რომელიმე მხარე შეასრულებს სახელშეკრულებო მოვალეობებს და ეს ხელშეკრულება აღარ იქნება მომავალში შესასრულებელი ხელშეკრულება. თუ კომპანია შეასრულებს ხელშეკრულებას, ხელშეკრულების შესრულება იქნება მოვლენა, რომელიც ანგარიშგაღებული საწარმოს უფლებასა და მოვალეობას, რომელიც ეხება ეკონომიკური რესურსების გაცვლას, გარდაქმნის ეკონომიკური რესურსის მიღების უფლებად. არამატერიალური აქტივები აღირიცხება თვითღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების ზარალის გამოკლებით.

ამორტიზაცია. ამორტიზება უნდა დაიწყოს მაშინ, როდესაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება, მაგ., როდესაც ის იმყოფება იმ ადგილზე და იმ მდგომარეობაში, როცა მისი გამოყენება შესაძლებელია ხელმძღვანელობის მიერ დასახული მიზნით. კომპანია არამატერიალური აქტივის ცვეთად ღირებულებას ანაწილებს სისტემატურ საფუძველზე მისი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე სააღრიცხვო პროგრამებს ლიცენზიებს და განუსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე ვებ-გვერდს ამორტიზაცია ერიცხებათ წრფივად სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში. განუსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალურ აქტივის ამორტიზირების ვადად განსაზღვრულია 10 წელი. ფილმების და სერიალების ჩვენების უფლებას ამორტიზაცია ერიცხება აქტივის მოსალოდნელი გამოყენების მეთოდით, კერძოდ ამორტიზაცია განისაზღვრება ფაქტიურად გასული სერიების მიხედვით. საკუთარი წარმოების არამატერიალური აქტივის (სერიალი) ამორტიზირდება დაჩქარებული მეთოდის გამოყენებით, კერძოდ რიცხვთა ჯამის მეთოდით.

არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია ცხრილში შემდეგნაირად:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი	სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი)/ამორტიზაციის მეთოდი
ვებ-გვერდი	3
პროგრამული უზრუნველყოფა	7
სხვა	1-7
ჩვენების უფლება	ფაქტიურად გასული სერიების/ფილმების მიხედვით რიცხვითა ჯამის მეთოდი
საკუთარი წარმოების სერიალი	

მარაგები. კომპანიის მარაგები თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, ხოლო შემდეგ ნეტო სარეალიზაციო ღირებულებასა და თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ყველანაირ დანახარჯს და სხვა ხარჯებს, რომელიც გაწეულია მარაგების ახლანდელ მდებარეობასა და მდგომარეობაში მოსაყვანად.

კომპანია მარაგების აღრიცხვისთვის იყენებს საშუალო შეწონილ მეთოდს.

არაფინანსური აქტივების გაუფასურება. აქტივები, რომლებიც ექვემდებარება გაუფასურებას და ამორტიზაციას შემოწმებულია გაუფასურებაზე იმ შემთხვევაში, როდესაც მოვლენები ან გარემოებების ცვლილებები მიუთითებს, რომ მიმდინარე საბალანსო ღირებულება შესაძლოა არ იყოს ანაზღაურებადი. გაუფასურების ზარალი აღიარებულია იმ თანხის ოდენობით, რომლითაც აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის ანაზღაურებად თანხას.

სესხები. სესხები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, შესაბამისი საოპერაციო ხარჯების გამოკლებით და შემდგომში ასახულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

გადახდილი ავანსი. გადახდილი ავანსი აღირიცხება თვითღირებულებით, შემცირებული საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვით. გადახდილი ავანსი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი, როდესაც მოსალოდნელია, რომ გადახდილი ავანსი დაკავშირებული საქონელი ან მომსახურება მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან, როდესაც გადახდილი ავანსი დაკავშირებულია აქტივთან, რომელიც საწყისი აღიარებისას კლასიფიცირებული იქნება როგორც გრძელვადიანი. აქტივის შესაძენად გადახდილი ავანსები გადადის ამ აქტივის საბალანსო ღირებულებაში ჯგუფის მიერ აქტივზე კონტროლის მოპოვების შემდეგ და როდესაც მოსალოდნელია, რომ ამ აქტივთან დაკავშირებული სამომავლო ეკონომიკური სარგებელი ჯგუფში შემოვა. სხვა გადახდილი ავანსები მოგება-ზარალში ჩამოიწერება გადახდილი ავანსიდან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღებისას. როდესაც არსებობს მინიშნება, რომ აქტივები, საქონელი ან მომსახურება, დაკავშირებული გადახდილი ავანსთან, არ იქნება მიღებული, მაშინ გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალი აღიარდება წლის მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო მოთხოვნები. სავაჭრო მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. „იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, კლასიფიცირდება როგორც გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო დებიტორული დავალიანება თავდაპირველად გამოხატულია გარიგების თანხით, შემდგომში შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით, საექვო ვალებზე შექმნილი რეზერვის გამოკლებით. გაუფასურების რეზერვი სავაჭრო და სხვა მოთხოვნებზე იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს ობიექტური საფუძველი რომ კომპანია ვერ შეძლებს მხარეებს შორის შეთანხმებული პირობებით ანაზღაურების სრულად მიღებას.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანებები. სავაჭრო დავალიანებების დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც მეორე მხარემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები და აისახება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო მეთოდის გამოყენებით.

საგადასახადო ვალდებულება. 2016 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო ცვლილება მოგების გადასახადით დაბეგვრის შესახებ, რომელიც ძალაში შევიდა ყველა კომპანიისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი მოდელის მიხედვით გაუნაწილებელი მოგება არ იბეგრება, ხოლო განაწილებული იბეგრება 15%-

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

იანი მოგების გადასახადის განაკვეთით, ნაცვლად წინა პერიოდებისა, როდესაც 15%-იანი მოგების გადასახადით იბეგრებოდა დაგროვილი მოგება განაწილების მიუხედავად. ცვლილების შედეგად, აქტივების და ვალდებულებების საბალანსო და საგადასახადო ღირებულებებს შორის არ არსებობს დროებითი სხვაობები, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს გადავადებული საგადასახადო აქტივების ან ვალდებულებების აღიარება. შესაბამისად კომპანია აღარ აღიარებს მიმდინარე და გადავადებულ მოგების გადასახადს და საგადასახადო ხარჯი დაკავშირებული მოგების განაწილებასთან აღიარდება მიმდინარე პერიოდის სრული შემოსავლის ანგარიშგებაში შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების თარიღის შესაბამისად.

გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში რა პერიოდშიც წარმოიქმნება მავალდებულებელი მოვლენა. მავალდებულებელ მოვლენას წარმოადგენს ქმედება ან ფაქტი, რომელიც საქართველოს საგადასახადო კოდექსით განაპირობებს გადასახადის გადახდას. წინასწარ გადახდილი გადასახადები, რომლიდანაც მოსალოდნელია მომავალში ეკონომიკური სარგებლის მიღება აღიარდება აქტივად.

საპენსიო შენატანები. 2018 წლის მაისში საქართველოს მთავრობამ მიიღო კანონი დაგროვებითი პენსიის შესახებ, რომლიც ძალაში შევიდა 2019 წლის 1 იანვრიდან. საპენსიო რეფორმის მიხედვით, სისტემაში ჩართული დასაქმებული პირის მხრიდან სახელმწიფო ბიუჯეტში განხორციელდებოდა 2%-ის გადახდა, აღნიშნული ნაწილი იფარება თანამშრომლის ხელფასიდან და კომპანიას ეს ნაწილი დამატებით ხარჯად არ ეკისრება. აღნიშნულის პარალელურად დამსაქმებელი თავის მხრივ, დამატებით 2%-ს რიცხავს, რომელიც ხარჯად აღიარდება ხელფასის ხარჯის დარიცხვასთან ერთად და წარმოდგენილია ადმინისტრაციულ ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებული ღირებულების გადასახადი გადასახდელია საგადასახადო ორგანოებისთვის იმ თარიღისთვის, რომელი მოვლენაც უფრო ადრე დგება (ა) კლიენტებისგან მისაღები ავანსების შეგროვება ან (ბ) საქონლის ან მომსახურების მიწოდება. ის ოპერაციები რომელიც ექვემდებარება დღ-ით დაბეგრას ან შესაძლებელია დღ-ს ჩათვლის მიღება, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებულია დღ-ით შემცირებული ღირებულებით.

კაპიტალი. ავტორიზებული კაპიტალი აღიარდება როგორც საწესდებო კაპიტალი იმ მოცულობით, რა მოცულობითაც კაპიტალი შევსებულია დამფუძნებლების მიერ.

შემოსავლების აღიარება. შემოსავალი შეფასებულია მიღებული ან მისაღები კომპენსაციის რეალური ღირებულებით და წარმოადგენს გაწეული მომსახურებისთვის მისაღები თანხის ოდენობას, დადგენილი შიდა შეღავათების ეფექტის გათვალისწინებით. კომპანია აღიარებს შემოსავალს, როდესაც შემოსავლის ოდენობა შეიძლება ობიექტურად შეფასდეს და როდესაც მოსალოდნელია რომ მოცემული ოპერაციიდან კომპანია მიიღებს წინასწარ შეთანხმებულ სარგებელს.

როდესაც ბარტერული ტრანზაქციით მიღებული საქონლის რეალური ღირებულება ობიექტურად არ არის შეფასებული, შემოსავლები განისაზღვრება მიწოდებული საქონლის ან მომსახურების რეალური ღირებულებით. კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს წარმოადგენს სარეკლამო დროის გაყიდვა, შემოსავლების აღიარება ხდება რეკლამის განთავსებიდან შესრულებული მომსახურების მიხედვით.

ხარჯების აღიარება. ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან ან ვალდებულების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯები სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ, შესაბამისი კრიტერიუმების დაკმაყოფილებისას.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები. ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

კლასიფიკაცია მიმდინარე/გრძელვადიანის მიხედვით. კომპანია ფინანსური მდგომარეობის უწყისში აქტივებსა და ვალდებულებებს ყოფს მიმდინარე/გრძელვადიანი კლასიფიკაციით. აქტივი მიმდინარეა, თუ:

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

- მოსალოდნელია მისი გაყიდვა ან განკუთვნილია გასაყიდად ან მოსახმარებლად მომდევნო საანგარიშგებო პერიოდში და ძირითადად იწახება საოპერაციო მიზნებისთვის;
 - მოსალოდნელია მისი გაყიდვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის ვადაში;
 - ის წარმოადგენს ნაღდ ფულს და ნაღდი ფულის ექვივალენტებს, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა გაყიდულია რაიმე ვალდებულების დაზღვევისთვის, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში. ყველა სხვა აქტივი აღიარდება გრძელვადიანად.
- ვალდებულება მიმდინარეა, თუ:

- მოსალოდნელია მისი დაფარვა მომდევნო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში
- ძირითადად გამოიყენება სავაჭრო მიზნებისთვის
- მოსალოდნელია მისი დაფარვა საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის განმავლობაში
- არ არსებობს ვალდებულების გადახდის თარიღის გადავადების უპირობო უფლება, საანგარიშგებო პერიოდის დამთავრებიდან 12 თვის შემდეგ

სხვა ყველა ვალდებულება აღიარდება გრძელვადიანად.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის არსებულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპის გათვალისწინებით. მომავალ პერიოდებში მიღებული ფაქტიური შედეგი, შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია.

- **საგადასახადო კანონმდებლობა.** მენეჯმენტი გაურკვეველ საგადასახადო მიდგომებს ხელახლა აფასებს ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აღიარდება იმ საგადასახადო მიდგომებისთვის, რაზეც ხელმძღვანელობის ვარაუდით საგადასახადო ორგანოები მაღალი ალბათობით დააკისრებენ კომპანიას დამატებით გადასახადებს, იმ შემთხვევაში, თუკი აღნიშნულ პოზიციებს სადავოდ გახდიან. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ დაჭირვებია მნიშვნელოვანი შეფასების გაკეთება საგადასახადო პრაქტიკის შეფასებისთვის.

- **ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების გამოყენების მართებულობა.** 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის აკუმულირებული ზარალი შეადგენს 52,230 ლარს. ამასთან, 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ვალდებულებები მთლიან აქტივებს აჭარბებს 17,937 ლარით.

მედია კომპანიის სისტემა ჯაჭვური სტრუქტურის ბუნებისაა. ხარჯების ოპტიმიზაცია პირდაპირ პროპორციულად აისახება „მთავარი არხის“ ეთერზე, მის ხარისხსა და შესაბამისად, არხის რეიტინგზე. ხოლო რეიტინგი კი პირდაპირ შემოსავალზე. ამიტომ, მენეჯმენტი ფრთხილია ხარჯების შემცირებაზე გადაწყვეტილებების მიღებისას და ხარჯების შემცირების გარდა, ცდილობს შემოსავლების მიღების ახალი იდეების გენერირებას.

ვინაიდან 2022 წელი იყო განსაკუთრებით მძიმე, მენეჯმენტის მხრიდან საჭირო გახდა ისეთი ღონისძიებების გატარება, რომელიც მისცემდა საშუალებას, რომ არხი გადარჩენილიყო. ამასთან, მენეჯმენტს უნდა მიეღო ისეთი ზომები, რომელიც შესაძლოა ყოფილიყო მძიმე და ხისტი, თუმცა, ამავე დროს მიღწეული უნდა ყოფილიყო მთავარი მიზანი - გადარჩენილიყო მედია საწარმო. ეს ამოცანა, კი უნდა შესრულებულიყო იმის გათვალისწინებით, რომ არხს შეენარჩუნებინა რეიტინგი, რომელიც სარეკლამო შემოსავლებისთვის მთავარი წყაროა. მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, ასეთი ღონისძიებები უნდა ყოფილიყო განხორციელებული ეტაპობრივად, შესაბამისი ეტაპისთვის რელევანტური, არსებული სურათის შესაბამისი. ასეთი გადაწყვეტილებები მიღებულ იქნა 2022 წელს და ეს პროცესი კვლევ მიმდინარეა.

მოცემულობის აღწერა და განხორციელებული ღონისძიებები:

2022 წელს, და მიმდინარე 2023 წელსაც კომპანია უწყვეტი ფინანსური გამოწვევების წინაშეა. წინა წლებში აკუმულირებულმა პრობლემებმა პირდაპირი გავლენა იქონია 2022 წლის ფინანსურ მდგომარეობაზე.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ფაქტორები, რომლებმაც უარყოფითი გავლენა იქონია კომპანიის მდგრადობაზე:

- 2022 წლის 16 მაისს, დააპატიმრეს კომპანიის დამფუძნებელი და გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია, რამაც მკაფიო გზავნილი მისცა ბიზნესებს და პოტენციურ ინვესტორებს, თავი შეეკავებინათ კომპანიაში განსახორციელებელი ნებისმიერი ტიპის ინვესტირებისგან.
- 2022 წლიდან სათაშო ბიზნესის რეკლამის აკრძალვამ ნეგატიური გავლენა იქონია კომპანიის შემოსავლებზე, კერძოდ "მთავარი არხი" დააკარგვინა წლიური შემოსავლიდან თითქმის 5 მილიონი ლარი. აღნიშნული გადაწყვეტილება იყო ხისტი ინტერვენცია ბაზარზე, რამაც სარეკლამო სექტორში გააჩინა დიდი ფინანსური ხვრელი. ამ დანაკლისის კომპენსირება დღემდე ვერ ხერხდება.
- რუსეთის აგრესიულმა ომმა უკრაინის წინააღმდეგ გავლენა იქონია სარეკლამო ბაზარზე, (განსაკუთრებით 2022 წლის პირველ ნახევარში), საერთაშორისო დამკვეთებზე, რომლებმაც შეამცირეს მარკეტინგული ბიუჯეტი და შეუმცირდა შემოსავალი.

ფინანსური გამოწვევების გამო, კომპანიის თანამშრომლებმა დააფუძნეს "მედიის თავისუფლების ფონდი", რომელიც ფუნქციონირებს შემოწირულობებით. აღნიშნული ფონდის დახმარებით გარკვეულწილად ხდება ჟურნალისტების საქმიანობისთვის ფინანსური ხელშეწყობა. 2022 წელს ფონდის საშუალებით მობილიზებულია 300,000 ლარზე მეტი ფინანსური რესურსი, რომელიც სრულად არის გამოყენებული სახელფასო დავალიანებების დასაფარად.

2021 წელს დაწყებული შიდა ორგანიზაციული ცვლილებები და ხარჯების მინიმიზაცია გაგრძელდა 2022 წელსაც. დაიხურა სხვადასხვა გადაცემები. ნიკა გვარამიას დაპატიმრების შემდეგ (2022 წლის 16 მაისი), დამატებით გათავისუფლდა რამდენიმე ათეული ადამიანი; ასევე, დაიწყო თანამშრომელთა თვითგადინება და თანამდებობა დატოვა რამდენიმე ათეულმა ადამიანმა, მათ შორის ცნობადმა სახეებმა; თითქმის, 2-ჯერ შემცირდა კომპანიის სახელფასო ბიუჯეტი. არსებულ თანამშრომლებს შეუმცირდათ ხელფასები სხვადასხვა საპროცენტო განაკვეთებით; დაიხურა კომპანიის მთავარი ლოკაციები: 1) ე.წ. "ვაშლიჯვრის" სტუდია, სადაც იწერებოდა გასართობი გადაცემები - ყოველდღიური დილის გადაცემა, ნანუკას შოუ, ვანოს შოუ, ახალი შაბათის შოუ, მთავარი ბიჭები, ლიტერატურული სამკუთხედი, სპორტი დიდ ქალაქში, მთავარი ჭკვიანი, მთავარი დიაგნოზი, ამინდი და ა.შ. 2) მოგვიანებით, ასევე, დაიხურა საწარმოს მეორე ლოკაცია - ე.წ. „ბენტლის სტუდია“, საიდანაც გადიოდა პირდაპირი ეთერის გადაცემები - „პოსტ ფაქტუმი“, „მთავარი აქცენტები“, „მთავარი შაბათი“, „ლამის მთავარი“ „მთავარი მსოფლიოში“, „მთავარი დებატები“ (თამარ ბაღაშვილთან ერთად); აღნიშნული ლოკაციების დახურვამ მნიშვნელოვნად შეამცირა ისეთი ხარჯები როგორიცაა აპარატურის ქირა, შენობის შენახვის ხარჯი, კომუნალური გადასახადები და ა.შ.

არხის ფინანსური მდგომარეობისთვის მნიშვნელოვანია გასართობი გადაცემების შენარჩუნება, ვინაიდან ფინანსები (რეკლამა, სპონსორობა, ე.წ. პროდუქტის განთავსება) ძირითადად გენერირდება სწორედ გასართობი კონტენტისგან. შესაბამისად, „ვაშლიჯვრის“ ლოკაციის დახურვის პარალელურად, კომპანიის ამოცანა იყო ამ გადაცემების შენარჩუნება იმგვარად, რომ შენარჩუნებულიყო კონტენტი ყველაზე ნაკლები ხარჯით. ამ მიზნით, ზოგიერთმა გადაცემამ განიცადა მოდიფიცირება და სტუდიური ჩანაწერის ნაცვლად, ის გახდა ე.წ. "რეალითი" ფორმატის (მაგალითად, „ლეღას შოუ“, რომელმაც მოგვიანებით ისევ შეიცვალა ფორმატი); ზოგიერთი გადაცემა (მაგალითად, "ნანუკას შოუ", "სპორტი დიდ ქალაქში") გადავიდა გარე დაფინანსების მოდელზე (ე.წ. outsourcing-ზე), რომლებიც თავად უზრუნველყოფენ საკუთარი თავის დაფინანსებას. ე.წ. outsourcing-ზე გადავიდა სხვა გადაცემებიც - მაგალითად „ილო ბეროშვილის შოუ“ (რომელმაც, თავის მხრივ, ჩაანაცვლა „ვანოს შოუ“). პოლიტიკური თოქ-შოუები და ანალიტიკური გადაცემების ლოკაციამ კი გადმოინაცვლა არხის ადმინისტრაციულ შენობაში.

ფინანსური პრობლემების გამო, არხის მენეჯმენტმა აქტიურად დაიწყო საერთაშორისო დონორებთან ურთიერთობა, და გარკვეული ტიპის გადაცემებზე მოიპოვა მცირედი ბიუჯეტის გრანტები. ასეთი გადაცემები იყო მაგალითად, "ლიტერატურული სამკუთხედი" და "მთავარი მსოფლიოში", ასევე, პერიოდულად ფინანსდებოდა რუბრიკები სხვადასხვა შემეცნებით-გასართობ გადაცემებში.

კომპანია დღეის მდგომარეობითაც ეძებს ფინანსური თანამშრომლობის შესაძლებლობებს საერთაშორისო დონორებთან, მაგალითად ჟურნალისტურ გამოძიებებზე.

კომპანია ამ ეტაპზე, კვლავ აგრძელებს მუშაობას ფინანსური მდგომარეობის გამოსასწორებლად და ეძებს სახსრებს საბიუჯეტო დავალიანების დასაფარად. ფინანსური სახსრების მოპოვებისთანავე, კომპანია მოიაზრებს მთავრობისთვის დავალიანების რესტრუქტურირების მოთხოვნის გაგზავნას, ვინაიდან, პრაქტიკაში, საქართველოს მთავრობას უკვე განუხორციელებია მედიისთვის რესტრუქტურირაცია (რუსთავი2-სა და იმედის საქმეები).

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

გართულებული ეკონომიკური სიტუაციის და დიდი მოცულობის ადმინისტრაციული ხარჯების გამო, მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია მიმდინარე და მომავალი წლის განმავლობაში ვერ შეძლებს დადებითი ფულადი ნაკადების გენერირებას და საჭიროა აღნიშნული ზარალის დაფინანსება. ამასთან, კომპანია იმედიანად უყურებს არხის დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას გათავისუფლებას და რამდენადაც ნიკა გვარამიას დაპატიმრება იყო ძლიერი უარყოფითი გზავნილი ბიზნესებისთვის, ამგვარად, მენეჯმენტი მოიაზრებს, რომ ნიკა გვარამიას გათავისუფლება შესაძლოა იყოს დადებითი გზავნილი ბიზნეს სექტორისთვის არხთან თანამშრომლობის განსახლებლად. 2023 წლის 22 ივნისს, პატიმრობიდან გათავისუფლებისთანავე, არხის დამფუძნებელმა ნიკა გვარამიამ განაცხადა, რომ მისი მთავარი ამოცანა და პრიორიტეტი იქნება არხის ფინანსური კრიზისიდან გამოსვლაში დახმარება. შესაბამისად, მენეჯმენტი იმედოვნებს, რომ დამფუძნებლების ძალისხმევა დაეხმარება კომპანიას უფრო ეფექტურად გაუმკლავდეს დაგროვილ პრობლემებს.

საოპერაციო ხარჯების დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენს დამფუძნებლების შენატანები საწესდებო კაპიტალში. კომპანიის მეწილეებისთვის ხელმისაწვდომია კომპანიის ბუღალტრული დოკუმენტაცია და ინფორმაცია ფინანსური მდგომარეობის შესახებ, მათ შორის, ხელმისაწვდომია ინფორმაცია მოსალოდნელი ზარალის მოცულობის შესახებ. მენეჯმენტი იმედოვნებს, რომ მეწილეები გამოთქვამენ მზადყოფნას დააფინანსონ აღნიშნული ზარალი განჭვრეტად მომავალში.

როგორც ზოგადი ეკონომიკური ასევე პოლიტიკური სიტუაციის არასტაბილურობიდან გამომდინარე, კომპანიის მენეჯმენტი ძირითადად კონცენტრირებულია კომპანიის და საოპერაციო საქმიანობის ყოველდღიურ ეფექტურ მართვაზე, რომ საქმიანობის შეუფერხებლად მოხდეს მიმდინარე ვალდებულებების გასტუმრება. შესაბამისად, მენეჯმენტის შეფასებით ახლა შეუსაბამოა გრძელვადიანი ბიუჯეტების შედგენა, რადგან არსებობს ბევრი მნიშვნელოვანი ცვალეზადი ფაქტორი და ობიექტური გარემოება, მათ შორის ქვეყანაში არსებული ეკონომიკური მდგომარეობა რაც მომავალს ხდის არაგანჭვრეტადს და ართულებს ვალიდური დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას.

კომპანიის მენეჯმენტს და დამფუძნებლებს სჯერათ, რომ კომპანიას აქვს დიდი გამოცდილების მქონე საკადრო რესურსი, სწორი სტრატეგიის შემუშავებით და გატარებით იმედოვნებენ, რომ საშუალოვადიან პერსპექტივაში ბაზრის წილის და სარეკლამო შემოსავლების მნიშვნელოვანი ზრდა და ხარჯების მნიშვნელოვანი ოპტიმიზაცია ხელს შეუწყობს საქმიანობის შეფერხებების გარეშე ოპერირებას. ამასთან, მენეჯმენტს აქვს მოლოდინი, რომ ამ პერიოდში წარმოშობილ დეფიციტს შეავსებენ ან კომპანიის მეწილეები და/ან საერთაშორისო დონორები (ფინანსური დახმარების მოპოვების შემთხვევაში). კომპანიის მენეჯმენტს აქვს მეწილეების ნაწილისგან მიღებული მხარდაჭერის წერილი. 2022 წლის განმავლობაში ფინანსური ანგარიშგების გამოცემაზე პერიოდში მეწილეების შენატანებმა საწესდებო კაპიტალში შეადგინა 3,612 ლარი.

5. შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან

შემოსავალი სარეკლამო მომსახურებიდან შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2022	2021
შემოსავალი გაყიდული დროიდან და განთავსებებიდან გარდა		
პოლიტიკური რეკლამებისა	10,167	11,521
შემოსავალი პოლიტიკური რეკლამებიდან	-	394
სულ	10,167	11,915

აღნიშნული შემოსავალი გენერირებულია კომპანიის მიერ სარეკლამო დროის და ტელეარხის სამაუწყებლო ეთერში განთავსებულ პროგრამებში პროდუქტის განთავსების უფლების რეალიზაციით. კომპანიას როგორც სარეკლამო დრო სრულად, ასევე პროგრამებში პროდუქტის განთავსების უფლება, ხელშეკრულებით განსაზღვრული გამონაკლისების გარდა გადაცემული აქვს შპს ნიუ სეილისთვის, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს შუამავალ რგოლს, ერთის მხრივ, სარეკლამო სააგენტოებსა და მედიის მგებმავებს, მეორეს მხრივ კი, მედია-საშუალებას შორის.

2022 წლის განმავლობაში კომპანიას არ აქვს მიღებული შემოსავალი პოლიტიკური რეკლამებიდან.

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

6. ტელე გადაცემებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი

ტელე გადაცემებთან დაკავშირებული პირდაპირი ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2022	2021
ხელფასის ხარჯი	(10,945)	(15,040)
ამორტიზაციის ხარჯი	(1,215)	(988)
ხმის უზრუნველყოფის ხარჯი	(369)	(567)
გადაცემის მომზადების ხარჯი	(76)	(1,023)
სხვა ხარჯი	(39)	(262)
სულ	(12,644)	(17,880)

7. ჩვენებისა და ინფრასტრუქტურის ხარჯი

ჩვენებისა და ინფრასტრუქტურის ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2022	2021
იჯარის ხარჯი	(1,469)	(4,093)
სიგნალის მიღების ხარჯი	(277)	(543)
ქსელით სარგებლობის ხარჯი	(235)	(235)
სტუდიების კეთილმოწყობის ხარჯი	(108)	(100)
ცვეთის და ამორტიზაციის ხარჯი	(66)	(88)
სხვა ხარჯი	(13)	(92)
სულ	(2,168)	(5,151)

2022 წელს არხის გენერალური დირექტორის დაპატიმრების შემდგომ წარმოქმნილი ფინანსური კრიზისის საპასუხოდ, მენეჯმენტმა მოახდინა ხარჯების ოპტიმიზაცია, რაც გამოიხატებოდა როგორც გადაცემის ფორმატის ცვლილებით (თვითდაფინანსება და სხვა), ასევე გარკვეული გასართობი შოუების სრულად დახურვით. კომპანიის გადაცემების მნიშვნელოვანი ნაწილი კონცენტრირებული იყო პოლიტიკურ გადაცემებზე.

8. სხვა საოპერაციო შემოსავალი

სხვა საოპერაციო შემოსავალი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2022	2021
შემოწირულობის სახით მიღებული შემოსავალი	642	-
საშემოსავლო გადასახადის შეღავათიდან მიღებული შემოსავალი	-	83
სულ	642	83

ფინანსური გამოწვევების გამო, კომპანიის თანამშრომლებმა დააფუძნეს "მედიის თავისუფლების ფონდი", რომელიც ფუნქციონირებს შემოწირულობებით. აღნიშნული ფონდის დახმარებით გარკვეულწილად ხდება ჟურნალისტების საქმიანობისთვის ფინანსური ხელშეწყობა. 2022 წელს ფონდის საშუალებით მობილიზებული 342 ლარის ფინანსური რესურსი სრულად არის გამოყენებული სახელფასო დავალიანებების დასაფარად.

2022 წელს ფიზიკური პირისგან მიღებულია 300 ლარის შემოწირულობა. აღნიშნული თანხა ჩარიცხულია ინკასირებულ საბანკო ანგარიშზე, შესაბამისად, აღნიშნული თანხა ხელმისაწვდომი არ ყოფილა კომპანიისთვის.

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

9. ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საერთო ხარჯი შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2022	2021
ხელფასის ხარჯი	(2,964)	(4,047)
სატელიტიზიო რეიტინგის კვლევის ხარჯი	(700)	(805)
საწვავის ხარჯი	(564)	(499)
კომუნალური ხარჯი	(494)	(481)
ცვეთა და ამორტიზაცია	(347)	(348)
საპენსიო ხარჯი	(203)	(99)
უიმედო და საეჭვო ვალის ხარჯი	(176)	(82)
საურავის და ჯარიმის ხარჯი (შენიშვნა 18)	(146)	(255)
სხვა ხარჯი	(523)	(778)
სულ	(6,117)	(7,394)

10. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	სამაუწყებლო აღჭურვილობა	ოფისის აღჭურვილობა	სხვა ძირითადი საშუალებები	სულ
31 დეკემბერი 2020	1,292	179	91	1,562
შემოსვლა	173	56	90	319
გასვლა	(67)	(5)	(28)	(100)
31 დეკემბერი 2021	1,398	230	153	1,781
შემოსვლა	62	37	14	113
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	1,460	267	167	1,894
დაგროვილი ცვეთა				
31 დეკემბერი 2020	(154)	(26)	(4)	(184)
ცვეთა	(298)	(47)	(18)	(363)
გასვლა	24	2	6	32
31 დეკემბერი 2021	(428)	(71)	(16)	(515)
ცვეთა	(310)	(51)	(15)	(376)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(738)	(122)	(31)	(891)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2021	970	159	137	1,266
31 დეკემბერი 2022	722	145	136	1,003

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

11. არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

ისტორიული ღირებულება	ჩვენების უფლება	სერიალი	სხვა	სულ
31 დეკემბერი 2020	1,434	401	48	1,883
შემოსვლა	1,267	22	3	1,292
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	2,701	423	51	3,175
შემოსვლა	1,268	-	-	1,268
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	3,969	423	51	4,443
დაგროვილი ამორტიზაცია				
31 დეკემბერი 2020	(1,189)	(201)	(15)	(1,405)
ამორტიზაცია	(907)	(148)	(5)	(1,060)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2021	(2,096)	(349)	(20)	(2,465)
ამორტიზაცია	(1,169)	(74)	(9)	(1,252)
გასვლა	-	-	-	-
31 დეკემბერი 2022	(3,265)	(423)	(29)	(3,717)
წმინდა საბალანსო ღირებულება				
31 დეკემბერი 2021	605	74	31	710
31 დეკემბერი 2022	704	-	22	726

12. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
მოთხოვნები მომსახურებიდან	1,726	702
გადახდილი ავანსები	241	168
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1,967	870
ანარიცხი უიმედო და საექვო მოთხოვნებზე	(290)	(114)
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი აქტივები სულ, ნეტო	1,677	756

უიმედო და საექვო მოთხოვნების რეზერვზე მოძრაობა ბოლო ორი წლის განმავლობაში იყო რეზერვის ზრდა 176 და 32 ლარის ოდენობით.

13. ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიას 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არ გააჩნია ფულისა და ფულის ეკვივალენტების ნაშთი. შემოსავლების სამსახურის 2022 წლის 21 იანვრის 011 -2022-010156 ბრძანებით საბანკო ანგარიშებიდან გადასახდის, საურავის და ჯარიმის თანხების ჩამოწერის შესახებ „საქართველოს საგადასახდო კოდექსის“ 243-ე მუხლის პირველი ნაწილით კომპანიის საბანკო ანგარიშებზე გადასახდის, საურავის და ჯარიმის თანხების და შესაბამის ბიუჯეტში ჩარიცხვის მიზნით წარდგენილ იქნა საინკასო დავალებები.

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

14. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი მოიცავს საწესდებო კაპიტალს და დაგროვილ ზარალს. საწესდებო კაპიტალი შეადგენს 34,293 ლარს, მათ შორის 2022 წელს შევსებული კაპიტალი შეადგენს 3,612 ლარს, საიდანაც 2,401 ლარი წარმოადგენს ფულადი ფორმით კაპიტალის შევსებას, ხოლო 1,211 ლარი წარმოადგენს საიჯარო ვალდებულების კონვერტაციას (2021: 7,440 და 3,728 ლარი)

კომპანიის მეწილეთა გადანაწილება 2022 და 2021 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით არის შემდეგი:

მფლობელი	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
BGIM LTD	39%	39%
ბაკურ ჯახაია	37%	37%
ნიკა გვარამია	12%	12%
ნიკოლოზ სისაური	3%	3%
მარი ანა რურუა	2.5%	2.5%
გიორგი რურუა	2.5%	2.5%
შპს საქართველოს უნივერსიტეტი	2%	2%
სხვა	2%	2%

კომპანიის მფლობელი კომპანიების მესაკუთრეები არიან შემდეგი ფიზიკური პირები:

შპს „საქართველოს უნივერსიტეტი“ - ნიკოლოზი ალასანია 12.5%; გიული ალასანია 37.5%; მანანა სანაძე 50%.

BGIM LTD - ზაზა ოქუაშვილი 100%

შპს „ომეგა მოტორს თბილისი“ - ზაზა ოქუაშვილი 100%

შპს „ომეგა მოტორ ჯგუფი“ - ზაზა ოქუაშვილი 100%.

შპს მატრიქსი - ზაზა ოქუაშვილი 100%.

შპს „მონტე“ - ზაზა ოქუაშვილი 100%

BGIM LTD წარმოადგენს შპს მატრიქსის, შპს მონტეს, შპს ომეგა მოტორს თბილისის, მაგული ხარებავას და შპს ომეგა მოტორ ჯგუფის წილების მმართველს 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ამავე კომპანიების წილები დაგირავებულია BGIM LTD-ის სასარგებლოდ, როგორც კომპანიის წესდებით გათვალისწინებული ვალდებულების უზრუნველყოფის საშუალება. კომპანიის წესდებით მიხედვის მეწილეების, შპს მონტეს, შპს ომეგა მოტორს თბილისის, მაგული ხარებავას და შპს ომეგა მოტორ ჯგუფის ვალდებულებას წარმოადგენს კომპანიის კაპიტალში 15 წლის განმავლობაში საიჯარო ქირის შეტანა.

15. მოკლევადიანი სესხები

მოკლევადიანი სესხები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	საპროცენტო განაკვეთი	ვალუტა	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
ფიზიკური პირისგან მიღებული სესხი	10.8%	ლარი	831	594
ფიზიკური პირისგან მიღებული სესხი	7.1%	დოლარი	113	33
ფიზიკური პირისგან მიღებული სესხი	7.1%	ევრო	6	7
იურიდიული პირისგან მიღებული სესხი	13.4%	ლარი	694	-
სულ			1,644	634

სესხის ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ არის ფინანსური და არა ფინანსური კოვენანტები.

შპს „მთავარი არხი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

15. მოკლევადიანი სესხები (გაგრძელება)

სესხის მოძრაობა წლების განმავლობაში შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	2022	2021
საწყისი ნაშთი	634	410
სესხის მიღება	918	1,054
სესხის გადახდა	(52)	(853)
პროცენტის დარიცხვა	155	49
სესხის გადაფასება	(11)	(26)
საბოლოო ნაშთი	1,644	634

16. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები შესაძლებელია წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო ვალდებულებები	7,055	5,101
სახელფასო ვალდებულებები	6,314	5,847
მიღებული ავანსები	-	76
სხვა ვალდებულებები	1,408	1,194
სულ	14,777	12,218

17. საგადასახადო ვალდებულება

2016 წლის 1 იანვრიდან, საგადასახადო კოდექსში შესული ცვლილების შესაბამისად ყველა საგადასახადო ვალდებულება ირიცხება ერთიან სახაზინო ანგარიშზე/კოდზე, შესაბამისად, ფინანსურ ანგარიშგებაში, საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილია ნეტო თანხით.

18. პირობითი ვალდებულებები

გადასახადები

საქართველოს სამეწარმეო და საგადასახადო კანონმდებლობაში არსებობს ისეთი მუხლები, რომელთა ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი. ასევე არსებობს საგადასახადო ორგანოების მიერ სუბიექტური გადაწყვეტილებების მიღების პრაქტიკა. აქედან გამომდინარე, იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე კონკრეტული ქმედება, რომელიც ეფუძნება ხელმძღვანელობის მიერ ბიზნეს საქმიანობის თავისებურად განსჯას, არ იქნება მოწონებული საგადასახადო ორგანოების მიერ, კომპანიას შეიძლება დაერიცხოს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ მათ გადაიხადეს საგადასახადო კანონით მოთხოვნილი გადასახადები და დამატებითი რეზერვების შექმნა არ არის საჭირო. საგადასახადო ორგანოებს კომპანიის შემოწმება შეუძლიათ ბოლო სამი წლის განმავლობაში.

სასამართლო დავები

დროდადრო, ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში, შეიძლება კომპანიის წინააღმდეგ პრეტენზიები იქნას წამოყენებული. კომპანიამ საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა კომუნიკაციების კომისიის 2020 წლის 3 დეკემბრის გადაწყვეტილება (ნომრით გ-20-18/889) შპს „მთავარი არხისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. ამ გადაწყვეტილებით, კომისიამ არხი დააჯარიმა 58 ლარით. საქმე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის, წარმოებაშია პირველ ინსტანციაში, საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა

18. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

კოლეგიაში. მენეჯმენტის შეფასებით, აღნიშნული საქმე შეიცავს პოლიტიკურ კომპონენტს და შესაბამისად არსებობს მაღალი ალბათობა, რომ სასამართლომ გაამართლოს კომისია და არხს მოუწიოს ჯარიმის 58 ლარის გადახდა.

კომპანიამ საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა კომუნიკაციების კომისიის 2021 წლის 25 ნოემბრის გადაწყვეტილება N გ-21-18/634 შპს „მთავარი არხისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე. ამ გადაწყვეტილებით, კომისიამ არხი ცნო სამართალდამრღვევად და დააჯარიმა მისი წლიური შემოსავლის 1 %- ის ოდენობით - 112 ლარით. საქმე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის, წარმოებაშია პირველ ინსტანციაში, საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. მენეჯმენტის შეფასებით, აღნიშნული საქმე შეიცავს პოლიტიკურ კომპონენტს და შესაბამისად არსებობს მაღალი ალბათობა, რომ სასამართლომ გაამართლოს კომისია და არხს მოუწიოს ჯარიმის 112 ლარის გადახდა.

2021 წლის ნოემბრიდან 2022 წლის იანვრის ჩათვლით პერიოდში საჯარო მოხელეთა 11 სარჩელი ჩაბარდა მთავარ არხს. ყველა სარჩელი ფაქტობრივად იდენტურია. სასარჩელო მოთხოვნის შესაბამისად მოსარჩელები მოითხოვენ პატივის, ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შემლახველი ცნობების უარყოფას. მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის თითოეული მათგანი ითხოვს 56 ლარს სოლიდარულად შპს „მთავარი არხისა“ და ნიკა გვარამიასგან. სასამართლომ ერთ-ერთი მოსარჩელის მოთხოვნა ნაწილობრივ დააკმაყოფილა და კომპანიას მორალური ზიანის ანაზღაურებისთვის დააკისრა მოპასუხეებს (მთავარი არხი და ნიკა გვარამია) სოლიდარულად 4,5 ლარის გადახდა მოსარჩელის მიმართ. საქმე დასრულებულია საქალაქო სასამართლოს პირველ ინსტანციაში. კომპანიამ გადაწყვეტილება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. მენეჯმენტის შეფასებით, არსებობს მაღალი ალბათობა, რომ სხვა ყველა სარჩელი დასრულდეს იგივე შედეგით. შესაბამისად, შეიქმნა რეზერვი 50 ლარის ოდენობით.

2022 წელს განხორციელებული საკადრო ცვლილებების შედეგად რამოდენიმე დამსაქმებლის მიერ მოხდა სარჩელის შეტანა შრომითი ურთიერთობის უკანონო შეწყვეტის გამო. პირველი ინსტანციის გადაწყვეტილების გათვალისწინებით მენეჯმენტი მოელის ერთი თვის ხელფასისა და 2 თვიანი იძულებითი განაცდენის კომპენსაციის დაკისრებას, ჯამური თანხით 8,4 ლარის ოდენობით.

კომპანიამ საქალაქო სასამართლოში გაასაჩივრა კომუნიკაციების კომისიის 2022 წლის 23 აგვისტოს გადაწყვეტილება N გ-22-16/384 შპს „მთავარი არხისთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების თაობაზე.

კომისიამ არხი ცნო სამართალდამრღვევად და დააჯარიმა მისი წლიური შემოსავლის 1 %- ის ოდენობით - 119 ლარით. საქმე ფინანსური ანგარიშგების გამოცემის თარიღისთვის წარმოებაშია პირველ ინსტანციაში, საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. მენეჯმენტის შეფასებით, აღნიშნული საქმე შეიცავს პოლიტიკურ კომპონენტს და შესაბამისად არსებობს მაღალი ალბათობა, რომ სასამართლომ გაამართლოს კომისია და არხს მოუწიოს ჯარიმის 119 ლარის გადახდა.

ყველა ზემოთ მოცემულ სასამართლო დავებზე ფინანსურ ანგარიშგებაში შექმნილია რეზერვი შესაბამის პირობით ვალდებულებებთან დაკავშირებით.

19. არაფულადი ოპერაციები

კომპანიის წესდებით მიხედვის მეწილეების, შპს მონტეს, შპს ომეგა მოტორს თბილისის, მაგული ხარებავას და შპს ომეგა მოტორ ჯგუფის ვალდებულებას წარმოადგენს კომპანიის კაპიტალში 15 წლის განმავლობაში საიჯარო ქირის შეტანა. 2022 წელს საიჯარო ვალდებულებამ, რომლის კონვერტაციაც განხორციელდა საწესდებო კაპიტალში შეადგინა 1,211 ლარი (2021: 3,728 ლარი).

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2022 წლის 31 დეკემბერს დასრულებული საანგარიშგებო წლისთვის

თანხები წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული

20. ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან

მხარეები, როგორც წესი, განიხილება, რომ ურთერთდაკავშირებულნი არიან, თუ იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ ან თუ ერთ მხარეს აქვს სხვა მხარის კონტროლის უნარი ან შეუძლია მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს მეორე მხარეზე ან განახორციელოს ერთობლივი კონტროლი მეორე მხარეზე ფინანსური და ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებაში.

კომპანიასა და დაკავშირებულ მხარეებს შორის არსებული ოპერაციები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	დაკავშირების სახე	31 დეკემბერი 2022	31 დეკემბერი 2021
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	კომპანიის მეწილე	91	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	კომპანიის მეწილე	1,909	1,698
მიღებული სესხი	კომპანიის მეწილე /მმართველი რგოლი	1,644	634

მოგებისა და ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება

ოპერაციის ტიპი	დაკავშირების სახე	2022	2021
შემოსავალი	კომპანიის მეწილე	150	-
სხვა შემოსავალი	კომპანიის მეწილე	300	-
საოპერაციო ხარჯი	კომპანიის მეწილე	(1,510)	(4,473)
ფინანსური ხარჯი	კომპანიის მეწილე /მმართველი რგოლი	(155)	(49)
		2022	2021
უმაღლესი მმართველობითი რგოლის ხელფასები		667	1,013

21. ბალანსის შემდგომი მოვლენები

2023 წლის 19 ივნისს პატიმრობიდან გათავისუფლდა კომპანიის დამფუძნებელი და არხის გენერალური დირექტორი ნიკა გვარამია.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ დამფუძნებლის მიერ საწესდებო კაპიტალი გაზრდილია 428 ლარით.